

EBRD, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია ფარავან ჰესისთვის 115.5 მილიონ აშშ დოლარს გამოყოფენ

სივილ ჯორჯია, თბილისი / 23 Jun.'11 / 18:56

ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი (EBRD) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია 115.5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხს გამოყოფენ საქართველოში 87 მეგავატიანი ფარავანის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისთვის.

სესხი საქართველოს ურბანული ენერჯეტიკის კომპანიისთვის გამოიყოფა, რომელიც თურქული კონგლომერატის Anadolu Group-ის ადგილობრივი დაქვემდებარებული ორგანიზაციაა.

EBRD-ის განცხადებით, იგი მთლიანი დაფინანსებიდან 52 მილიონ აშშ დოლარს დაფარავს, ხოლო საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია 40.5 მილიონ აშშ დოლარს გამოყოფს. დანარჩენი 23 მილიონი აშშ დოლარის სინდიცირება კომერციულ ბანკებთან ერთად განხორციელდება. პროექტის ფარგლებში EBRD-ის ასევე ექნება წილობრივი მონაწილეობა საქართველოს ურბანული ენერჯეტიკის კომპანიაში 5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით.

სესხი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით ფარავანის 87 მეგავატიანი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ოპერირების თანადაფინანსებას მოხმარდება.

პროექტი ითვალისწინებს ქართული ბაზრის ელექტროენერჯით მომარაგებას ზამთრის პერიოდში, ხოლო დანარჩენი ცხრა თვის მანძილზე ელექტროენერჯის თურქეთში ექსპორტს.

EBRD-მა განაცხადა, რომ ეს არის მისი პირველი ინვესტიცია საქართველოს განახლებადი ენერჯის სფეროში.

სხვა ფართომასშტაბიანი ჰიდროელექტროსადგურების პროექტების მსგავსად, გარემოსდამცველებმა შეშფოთება გამოხატეს ფარავან ჰესის მშენებლობის გეგმებზე და განაცხადეს, რომ ამგვარი პროექტების უარყოფითი ზემოქმედება ნებისმიერ ეკონომიკურ სარგებელს გადაწონის.

გარემოსდაცვითი ორგანიზაცია "მწვანე ალტერნატივა" აცხადებს, რომ ერთ-ერთი მთავარი წუხილი სოფელ ხერთვისის შესაძლო დატბორვას უკავშირდება და პროექტის სოფელზე ზემოქმედების დამატებითი შესწავლისკენ მოუწოდებს.